ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3464715

ნომერი: AR1528926

თარიღი : 31.07.2017

გაცემის თარიღი : 10.08.2017

გაცნობის თარიღი : 10.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ./ ქალაქი თბილისი , გერგეთის გას N7ა მიმდ / ქალაქი თბილისი , გასასვლელი , გერგეთი , N 7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა მიმდ. / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ წიკლაური პ/ნ 65002001607
- შმიტის 80, ბ 7

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ხმალაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ხმალაძე არქიტექტორები"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404856376

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ამხანაგობა "გერგეთი რეზიდენს"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205313597
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამხანაგობა "გერგეთი რეზიდენს' თავმჯდომარე ნიკოლოზ წიკლაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 65002001607

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2455509
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.03.2016

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2016 წლის 14 მარტის №2455509 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 14 მარტს №2455509 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გერგეთის გას. N7ა/გერგეთის გასასვლელი N7ა–ს მიმდებარედ/გერგეთის გას. N7ა–ს მიმდებარედ/გასასვლელი გერგეთის N7ა/გერგეთის გას. N7ა მიმდებარედ/გერგეთის გას. N7ა/გერგეთის გასასვლელი N7ა–ს მიმდებარედ, ამხანაგობა „გერგეთი რეზიდენს“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაშია 2018 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

2017 წლის 31 ივლისს N AR1528926 განცხადებით მოგვმართა მოქ. ნ. წიკლაურმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2016 წლის 14 მარტის №2455509 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 მარტის №2455509 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2018 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 მარტის №2455509 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.